დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

წევრები:

მაკა ნადარეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

დარეჯან თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

თამარ წულუკიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ბერიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405408893

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ბაგები, ზურაბ საკანდელიძის ქ. #9
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://azraki.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	schoolazraki@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2 151540

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	#690882; 18/06/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 16-17 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ბაგები, ზურაბ საკანდელიძის ქ. #9, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 16-17 ივლისს დაწესებულებაში შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ ფორმატში გაესაუბრნენ პედაგოგებს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია. ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ხელმძღვანელობასა და სხვა თანამშრომლებთან.
დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლა გეგმავს ინტეგრირებული კურიკულუმებით სწავლებისა და ე.წ. „კლასის ფსიქოლოგის“ პრაქტიკის დანერგვას. თითეულ კლასში შემსვლელი მასწავლებლები გაერთიანდებიან ჰორიზონტალურ ჯგუფებში და განახორციელებენ საერთო პროექტებს, რომლებიც თითოეული საგნის სწავლის შედეგებს დაფარავს. აღნიშნულისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი ინტეგრირებული კურიკულუმები. თითეულ კლასს ეყოლება თავისი ფსიქოლოგი, რომელიც იზრუნებს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ **შეესაბამება**

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 165	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.6	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს	სასურველია, დაწესებულებამ მეტი მკაფიოობისთვის სახელწოდებაში გამოკვეთოს სკოლის სტატუსი.
ინდიკატორი N1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გასათვალისწინებლად, სასურველია, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფმა პერიოდულად მოაგროვოს უკუკავშირი კითხვარებით, ინტერვიუებითა თუ სხვა ფორმით.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სასურველია, სამომავლოდ სკოლამ იზრუნოს შენობის სრულ ადაპტირებაზე, სრულად ინკლუზიური ინფრასტრუქტურისთვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	**უცხოური ენები** სასურველია, სკოლამ ძირითად სახელმძღვანელოდ აირჩიოს ის სახელმძღვანელო, რომელიც უფრო მეტად ერგება მათ მიერ შერჩეული თემებით სწავლებას ან იმ კურიკულუმებში, სადაც საერთოდ არაა მოცემული რესურსად ძირითადი სახელმძღვანელო, გაითვალისწინოს მისი გამოყენებაც.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც დაურთო შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, პროექტში ხარვეზად იყო დადგენილი მერხების, სკამებისა და დაფების ვიზიტის დროს ფიზიკურად არარსებობა. დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა შესყიდვის პროცედურა, თუმცა მომწოდებლისგან ჯერ არ ჰქონდა მიღებული შესაბამისი საქონელი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა აღნიშნული ინვენტარის შესყიდვის პროცესის დასრულების მტკიცებულება - მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული საკითხი საბოლოო დასკვნაში ჩაითვალა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად.

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა დასკვნის პროექტით მიღებულ რჩევებსაც და მათი უმრავლესობის შესრულების მტკიცებულებიც თან დაურთო წერილს. კერძოდ, მიცემული რჩევის შესაბამისად, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისთვის შეიმუშავა კონკრეტული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, მე-4 კლასის პროექტ "მოგზაურობის" გეგმაში ჩაამატა ელექტრონული რესურსები, ასევე, რჩევის შესაბამისად ინგლისური ენის შეფასების რუბრიკაში დააკორექტირა ქულათა დიაპაზონი.

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, სკოლა დაეთანხმა და იზიარებს სხვა რჩევებსაც და ადასტურებს, რომ სამომავლოდ გაითვალისწინებს მათ. აღნიშნული რჩევები ექსპერტთა ჯგუფის მიერ კვლავაც დარჩა საბოლოო დასკვნაში.
უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სახელწოდების დაზუსტებასთან დაკავშირებულ (გამოკვეთოს სკოლის სტატუსი) რჩევაზე სკოლამ წარმოადგინა შემდეგი პოზიცია - აღნიშნული რჩევის გათვალისწინებას სკოლა ამ ეტაპზე ვერ ახერხებს, რადგან კომპანია, გარდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობისა, უკვე წლებია წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით (ბაღი, ფრესქული, საკვირაო სკოლა, პიროვნული ზრდის კურსი, საზაფხულო სკოლა, სხვადასხვა შემეცნებითი პროექტი მოზარდებისთვის და სხვა პროგრამები). შესაბამისდ, ორგანიზაციის დასახელების ცვლილები ავტომატურად სხვა სახის ცვლილებებსაც განაპირობებს, რასაც ამ ეტაპზე დაწესებულება ვერ ახერხებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აღნიშნული რჩევა კვლავაც აქტუალურია და დატოვა საბოლოო დასკვნაშიც.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლა აქცენტს აკეთებს უსაფრთხო, ემოციურად ჯანსაღი, თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური განვითარებისათვის. დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლეების მუდმივ შემეცნებაზე ორიენტირებულ, წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც შეეძლებათ, გუნდურად და კრეატიულად განახორციელონ სხვადასხვა სახის პროექტები, გადაჭრან გარემოში არსებული პრობლემები და გაცნობიერებული წვლილი შეიტანონ საზოგადოების უკეთესობისკენ შეცვლაში. სკოლა საკუთარი მისიით ცდილობს აქცენტი მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე გააკეთოს, რითაც სასკოლო საზოგადოებას თავის მთავარ ორიენტირს აჩვენებს და, ამასთანავე, გამოკვეთს უმთავრეს მიზანს - აღზარდოს მუდმივ შემეცნებაზე ორიენტირებული, წიგნიერი, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.

სკოლის ხედვაც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ეხმიანება - მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარების გზების ძიებით, მათი თვითგამორკვევის, თვითაქტუალიზაციის ხელშეწყობით, სწავლისა და ცხოვრებისთვის საჭირო უნარების შეძენით. სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ წარმატებაზე, არამედ სოციალური და ემოციური ინტელექტის განვითარებაზე, რაც აუცილებელია ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებისთვის. **ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

შპს „აზროვნების აკადემიია მოზარდებისთვის“ საკუთარი ფილოსოფიით მთლიანად პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა. მისიასა და ხედვაში ხაზგასმულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მხარდაჭერა, მათი აკადემიური და ფსიქო-ემოციური განვითარება. ამისათვის, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დამატებით აქტივობებს. მათ შორის, მნიშვნელოვანია პიროვნული ზრდისა და ემოციური ინტელექტის განვითარების საათი, რომელსაც თითოეული კლასის ფსიქოლოგი წარმართავს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კლასის ფსიქოლოგები მოსწავლეებს დაეხმარებიან საკუთარი თავის გამორკვევაში, პიროვნულ ზრდაში, ემოციების კონტროლში. სკოლის ხედვით განსაზღვრულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეები სწავლობენ, ურთიერთობენ და იზრდებიან ფსიქოლოგიურად უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოში, სადაც ზრუნავენ მათ სოციალურ, ემოციურ და პიროვნულ განვითარებაზე. **ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც დეკლარირებულია სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესის წარმართვა თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით. დადასტურდა, რომ სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ნამდვილად განახორციელა მასწავლებლებისა და პოტენციური მშობლების (ბაღის მშობლების) ჩართულობით. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ფილოსოფიის შემუშავებამდე შეისწავლა სასკოლო თემის ინტერესები კითხვარებისა და სამუშაო შეხვედრების გზით. სწორედ მათი ანალიზის საფუძველზე მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის ჩამოყალიბება. პროექტის განხილვის ეტაპზე ჩაერთო სკოლის პედაგოგიური საბჭოც. მათი უკუკავშირის მიღების შემდეგ მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცება. **ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ დამტკიცებული ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია აღწერს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპებს. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების დაცვით სკოლის მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ვინაიდან სკოლის მომავალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ. პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა გამოკითხვაც, გაზიარების ეტაპი კი განხორციელდა სკოლის სოციალურ ქსელში, პედაგოგიურ საბჭოზე, ღია კარის დღის ტიპის შეხვედრებზე. შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები ასევე გამოიკრა სკოლის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდა ვებგვერდზე. **ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი მოიცავს გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმებსაც.. სკოლის მიერ უკვე შემუშავებული და დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის, რადგან ისინი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფასა და სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
   ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სახელწოდება: აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის. სკოლას მიეცა რჩევა: **სასურველია, დაწესებულებამ მეტი მკაფიოობისთვის სახელწოდებაში გამოკვეთოს სკოლის სტატუსი. არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ განმარტა, რომ აღნიშნული რჩევის გათვალისწინებას ამ ეტაპზე ვერ ახერხებს, რადგან კომპანია, გარდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობისა, უკვე წლებია წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით (ბაღი, ფრესქული, საკვირაო სკოლა, პიროვნული ზრდის კურსი, საზაფხულო სკოლა, სხვადასხვა შემეცნებითი პროექტი მოზარდებისთვის და სხვა პროგრამები). შესაბამისდ, ორგანიზაციის დასახელების ცვლილები ავტომატურად სხვა სახის ცვლილებებსაც განაპირობებს, რასაც ამ ეტაპზე დაწესებულება ვერ ახერხებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აღნიშნული რჩევა კვლავაც აქტუალურია და დატოვა საბოლოო დასკვნაშიც. ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. შინაგანაწესი;
4. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე;
6. კითხვარის ანალიზი
7. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.**

   სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზრვრულია: სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.
   სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინის გასათვლისწინებლად, შემუშავების ეტაპები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობას - სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, კითხვარებით საჭიროებების დადგენას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენასა და პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვას. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლამ გააკეთა SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც განსაზღვრა სტრატეგიული მიზნების და ამოცანები. პროექტის შინაარსის განხილვამ დაინტერესებულ პირებთან კიდევ უფრო მეტად უზრუნველყო მათი შეხედულებების ასახვა და გათვალისწინება.
   ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლამ შეიმუშავა 2025-2032 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები და ამოცანები. აღნიშნული მიზნები თანხვედრაშია ფილოსოფიასთან და ხელს უწყობს მისიის, ხედვისა და ღირებულებების რეალიზებას. სკოლის სტრატეგიული მიზანია ისეთი სასწავლო გარემოსა და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებას, მყარი სასკოლო კულტურის ფორმირებას, სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. სკოლა გეგმავს იმუშაოს შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებზე: ორგანიზაციული განვითარება, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა, სკოლის ინფრასტურქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების გაძლიერება. გაწერილი ამოცანები კიდევ უფრო მეტად მკაფიოდ აჩენს იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმითაც სკოლა შეძლებს მისიისა და ხედვის რეალიზებას, სტრატეგიაში დეკლარირებული ღირებულებებით. **ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ აქტივობებს და ნათლად უჩვენებს, თუ რა უნდა გაკეთდეს, როგორ, რა ვადაში, რომ სკოლამ დასახულ სტრატეგიულ მიზნებს მიაღწიოს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინებს სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებასაც. ამ ეტაპზე სკოლა დაეყრდნო SWOT ანალიზსა და იმ მოკვლევის შედეგებს, რომლებიც განახორციელა მეთოდოლოგიის მიხედვით. სამოქმედო გეგმაში ნათლად არის წარმოდგენილი ის ამოცანები, რომლებზეც გეგმავს მუშაობას სკოლა კონკრეტულ წელს. **ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სკოლის სამოქმედო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ის მოიცავს: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, რომლებიც

არის გაზომვადი და კონკრეტული, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს, შესაბამის საჭირო რესურსებს და რეალისტურ ვადებს. **ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი;
3. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე;
4. 2025-2032 წლების სტარტეგიული გეგმა;
5. 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
6. SWOT ანალიზი;
7. კითხვარის ანალიზი
8. ინტერვიუს შედეგებით.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. მონიტორინგი ხორციელდება აქტივობების შესრულება-არშესრულების სტატუსის განსაზღვრით, შეფასებისას კი მოხდება განხორციელებული პროცესის შინაარსობრივი ანალიზი წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და იმის შეფასებით, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტურად განხორციელდა ესა თუ ის პროცესი.

სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშის წარდგენის შემდეგი ფორმატი: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს მათ მიერ

შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა გადაჭარბებით“, „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. **დასკვნის პროექტით, სკოლას მიეცა რჩევა, რომ *სასურველია, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება მონიტორინგის საგანი, ფორმა, მეთოდი, პერიოდი და ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ჯგუფს საშუალებას მისცემს კონკრეტული მექნიზმებით აწარმოოს პროცესი.* არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ აღნიშნული რჩევა გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებაც, შემუშავებული მონიტორიგნისა და შეფასების გეგმის სახით. ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის მიხედვით, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით. ***მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გასათვალისწინებლად, სასურველია, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფმა პერიოდულად მოაგროვოს უკუკავშირი კითხვარებით, ინტერვიუებითა თუ სხვა ფორმით.*** აღნიშნული რჩევა სკოლამ გაიზიარა არგუმენტირებულ პოზიციაში და განმარტა, რომ სკოლის სტატუსის მოპოვებისა და სასკოლო საზოგადოების დაკომპლექტების შემდეგ, აუცილებლად გეგმავს სხვადასხვა კვლევის ჩატარებას. მათ შორის, კითხვარების, ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებას და მათი ანალიზის შედეგების გათვალისწინებას მოწიტორინგისა და შეფასების პროცესში.**ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები ანგარიშები განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე და, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისთვის, ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფოსტა ან/და სოციალური ქსელი და ა.შ. **ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოსავლენად და ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესასწავლად. სწორედ ამ პროცესის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამასთან, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. **ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის ადმინისტრაცია შედგება შემდეგი პოზიციებისგან: ორგანიზაციის დირექტორ(ებ)ი, აკადემიური დირექტორი, დირექტორის მოადგილე. პროგრამული ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - HR, იურისტი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სოციალური მედიის მენეჯერი, ფინანსური სამსახური. სკოლის დამხმარე პერსონალს კი წარმოადგენენ: ექიმი, ტექნიკური სამსახური, დაცვის სამსახური, დასუფთავების სამსახური, სამზარეულოს პერსონალი (მთავარი მზარეული, დამხმარე, სამზარეულოს დამლაგებელი). გარდა ამისა, სკოლა მომსახურების სახით სარგებლობს სხვადასხვა სერვისით, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების მენეჯერის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის და სხვა.

სკოლას ჰყავს პედაგოგიური საბჭო, რომელიც აერთიანებს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო, დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებაში ჩართულ ყველა მასწავლებელსა და კლასის ფსიქოლოგებს. პედაგოგიური საბჭოს საქმიანობა რეგულირდება პედაგოგიური საბჭოს დებულებით. სკოლას ასევე ჰყავს კლასის აკადემიური საბჭო, რომელიც შედგება თითოეული კლასში დასაქმებული სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანამანთლებლო, დამატებითი საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პედაგოგებისა და კლასის ფსიქოლოგებისაგან. საბჭო იკრიბება როგორც მთელი კლასის, ისე კონკრეტული მოსწავლის/მოსწავლეების აკადემიური და ფსიქო-სოციალური განვითარების ეტაპზე არსებული საჭიროებების შესწავლის, გაანალიზების, გადაჭრის გზების დასახვის მიზნით.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დებულება, რომელიც ადგენს სკოლის სტრუქტურას და მართვის ძირითად წესებს. მასში გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია და არ არის დუბლირებული. სკოლაში დასაქმებულებს შრომითი მოვალეობები დაკისრებული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მათი ფუნქცია-მოვალეობები. გათვალისწინებულია ყველა ის ფუნქცია, რომლის შესრულებაც აუცილებელია სკოლის ძირითადი, მმართველობითი თუ დამხმარე პროცესების შეუფერხებლად განხორციელებისთვის. **ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დებულება;
2. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
3. 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
4. პედაგოგიური საბჭოს დებულება
5. ხელშეკრულებები
6. ინტერვიუს შედეგებით.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის სამუშაოზე აყვანა, მათი ახალ სამუშაო გარემოში ადაპტაცია, პროფესიული განვითარება, ადამიანური რესურსებისა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. სკოლაში დასაქმებული კადრების შერჩევა ხორციელდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის პრინციპებისა და

პერსონალური მონაცემების დაცვით. ვაკანტური პოზიციის განაცხადი იქმნება დებულებაზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით შემუშავებული კონკურსის ჩატარების წესით. შინაგანაწესით რეგულირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სკოლაში თანამშრომლის მიღება, შრომითი ურთიერთობების პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა და სხვა საკითხები. **ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰყავს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციებიც მოიცავს სწორედ საკადრო საჭიროებების პრევენციულ თუ ინტერვენციულ მართვას. ამ საკითხებს არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც. პრევენციისთვის სკოლა გამოაცხადებს კონკურსს იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე ვაკანტური იქნება. ასევე, ახალი სასწავლო წლისთვის ადმინისტრაცია წინასწარ განსაზღვრავს ახალი პოტენციური კლასების რაოდენობას და გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე აცხადებს კონკურსს. პერსონალის ინტერვენციული მართვის მიზნებისთვის სკოლის დებულებით გათვალისწინებულია ურთიერთჩანაცვლების საკითხი, რათა საჭიროების შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მიზნობრივად მოხდეს ფუნქციების დელეგირება სხვა პირზე იმგვარად, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია ვისი არყოფნის შემთხვევაში ვისით მოხდება ჩანაცვლება. თანამშრომლის სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში, თუ მისი მოვალეობების გადანაწილება ვერ ხერხდება შიდა კადრზე და სკოლაში გამოუცხადებლობა გრძელდება ხანგრძლივი პერიოდით, სკოლა უზრუნველყოს სამუშაოზე არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას სამუშაოზე მის გამოცხადებამდე. **ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში არსებული თითოეული პოზიციისთვის სკოლის დებულებაში მოცემულია სამუშაო აღწერილობები. სკოლა ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობაზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების

გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევა დასაშვებია, როგორც კონკურსის საფუძველზე, ასევე მის გარეშე. რაც შეეხება მასწავლებელებს, მათი შერჩევა/დასაქმებისას სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით "დადგენილი წესების მიხედვით შემუშავებული კონკურსის ჩატარების წესით. სკოლას მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსისათვის განსაზღვრული ჰყავს მუდმივმოქმედი კომისია, ვაკანსიის გამოცხადება ხდება შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე, განაცხადების შერჩევისა და კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი ოქმდება. შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, გათვალისწინებულია საპრეტენზიო კომისიის შექმნა. **ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პერსონალთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, ასევე, რიგ შემთხვევაში, შეთანხმება სამომავლო შრომით ურთიერთობებზე. **ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ღირებულებებში გაცხადებულია, რომ გუნდურობა სკოლისთვის პრიორიტულია. სკოლა აცხადებს მზაობას, რომ საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელების, მონიტორინგისა თუ შეფასების ციკლი დაინტერესებულ მხარეთა (ადმინისტრაცია, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) ჩართულობით მოხდეს. სკოლის უკვე განხორციელებულ პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა დადასტურდა მათთან ინტერვიუებით. გამოიკვეთა თითოეულის გაცნობიერებული როლი ამა თუ იმ პროცესში. **ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა იღებს ვალდებულებას, აღიაროს და წარმოაჩინოს წარმატებული გამოცდილება, უზრუნველყოს თანამშრომელთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის. ამასთან, წარმატებული პრაქტიკის გავრცელების მიზნით, სკოლა გეგმავს ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები და პროფესიული კონსულტაციები, სადაც თანამშრომლები გააზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. ორგანიზაციას ამისთვის აქვს რამდენიმე პლატფორმა - სალონური საუბრების ფორმატის შეხვედრები, პოდკასტები განათლების საკითხებზე, სოციალური ქსელის გვერდები საკმაოდ ბევრი მომხმარებლით, გამომცემლობა და ა.შ. **ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
3. მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
4. კონკურსის მასალები.
5. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია პროფესიული განვითარების გზები, რომლის მიხედვითაც სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება; გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება; სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს პროგრამული ხელმძღვანელი, რისთვისაც ის: ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს; რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს; სასწავლო წლის განმავლობაში, პერიოდულად ესწრება გაკვეთილებს; მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად გაკვეთილზე დასწრებისას სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით, აფასებს საგაკვეთილო პროცესს, ამოწმებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავების უნარს და მის პროგრამას/კურიკულუმს, საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახორციელებს სკოლის სხვა თანამშრომლების შეფასებას. **ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მექნიზმები საშუალებას იძლევა, რომ სკოლამ სისტემატურად განახორციელოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა, გამოწვევების იდენტიფიცირება და შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. თუ გამოვლინდა, რომ გარკვეული მიმართულებით თანამშრომელს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ან თავად დასაქმებული გამოთქვამს ამის სურვილს, სკოლა უზრუნველყოფს მას პროფესიული განვითარების შესაძლებლობით. სკოლას თანამშრომელთა პროფესიული განვითრებისთვის დაგეგმილი აქვს სხვადასხვა მიზნობრივი ტრენინგი, სამუშაო შეხვედრების ციკლი, თანამშრომელთა შორის ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა და სხვა. ვიზიტის პროცესში სკოლას უკვე ჰქონდა ჩატარებული მასწავლებლების გამოკითხვა იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით სურთ პროფესიულ განვითარება. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლას უკვე აქვს შექმნილი სამუშაო გეგმა

პროფესიული განვითარების აქტივობებით, რომელშიც გაწერილია კონკრეტული ვადები, აქტივობის ფორმატი და შინაარსი. **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას - კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრების გამართვა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში მასწავლებელთა ჩართვა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ტრენინგებზე დასწრება, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. სკოლა გეგმავს ყოველწლიურად შესთავაზოს თანამშრომლებს მათთვის საინტერესო და აქტუალური ტრენინგები, როგორც შიდა, ასევე, გარე რესურსის გამოყენებით. დაწესებულება მზადაა მიაწოდოს თანამშრომლებს ინფორმაცია ყველა იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელში მონაწილეობაც მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლას გამოადგება. **ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომლის ადაპტაციისთვის განსახორციელებელი აქტივობებს. ახალმიღებულ კადრს ადაპტაციაში დაეხმარებიან პროგრამული ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დირექტორის მოადგილე. ისინი ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლის ღირებულებებს, ორგანიზაციის კულტურას, რაც უზრუნველყოფს მის სასკოლო გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას. სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით განახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას: პერსონალის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, სასკოლო კულტურისა და სკოლის სპეციფიკის გაცნობა, დახურულ ჯგუფებში დამატება, Team biulding-ის აქტივობებში ჩართვა. **ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლის პერსონალს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და საკუთარი აზრების და

იდეების განხორციელების ინიციატივით მიმართოს დირექტორის მოადგილეს, პროგრამულ ხელმძღვანელს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. სკოლის მასწავლებელთა ინიციატივებს განიხილავს პროგრამული ხელმძღვანელი, ხოლო სხვა თანამშრომლების ინიციატივებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ინიციატივის წარდგენიდან გონივრულ ვადაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი/პროგრამული ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ინიციატივის მხარდაჭერის ან მხარდაჭერაზე უარის თქმის თაობაზე და აცნობებს ინიციატივის წარმდგენს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/პროგრამული ხელმძღვანელს შეუძლიათ მოსთხოვონ ინიციატივის წარმდგენს განსახორციელებელი აქტივობის აღწერა, აქტივობის განხორციელების ვადების, საჭირო რესურსების, ჩართული პირების შესახებ ინფორმაციის მითითება. სკოლის თანამშრომელთა/მასწავლებელთა ინიციატივა თუ მოითხოვს ფინანსურ რესურსს, აღნიშნულის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია სკოლის დირექტორტან შეთანხმება. თუ ინიციატივა ეხება პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგის/სამუშაო შეხვედრის ჩატარებას, აღნიშნულ საკითხს განიხილავს აკადემიური დირექტორი სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან/პროგრამულ ხელმძღვანელთან ერთად და მათთან კონსულტაციის შედეგად იგეგმება შესაბამისი აქტივობა. **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. ბიუჯეტი
3. პროფესიული განვითარების გეგმა.
4. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში მიმდინარე თითოელი პროცესის ხარისხის ციკლის შესაბამისად წარმართვა.
უწყვეტად მოხდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება.
შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის სკოლას ასევე შექმნილი აქვს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება. მისი მუშაობით სკოლაში განხორციელდება საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება, პედაგოგისთვის ერთი-ერთზე უკუკავშირის მიცემა, პროფესიული საჭიროებების დადგენა და მხარდაჭერა, ხარისხის ზრდისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა/გაანალიზება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, თითოეული ცალკეული პროცესის შესახებ სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებში გამჭოლად იკვეთება ხარისხის ციკლის ეტაპები - პროცესის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და შედეგების გათვალისწინება გადაგეგმვისას. **ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ისე ძირითად და დამხმარე პროცესებს.

მმართველობით პროცესებში სკოლას შეტანილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითად პროცესად სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესებად კი - ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსების მართვა, საქმისწარმოება, მოსწავლის მხარდამჭერი სერვისების განხორციელება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ. აღნიშნული პროცესები სკოლას აღწერილი აქვს ხარისხის მართვის მექანიზმების დოკუმენტში. **ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლაში საჩივრებს განიხილავს სკოლის დამოუკიდებელი კომისია. კომისიის მიერ საჩივრის განხილვა ხდება ერთი თვის ვადაში თუ კანონით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული. გასაჩივრების მექანიზმების შესახებ სკოლას ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით. **ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

კლასის ფსიქოლოგები მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს წარმართავენ მოსწავლეთა უფლებების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებისას – ხელშეკრულების პირობების გაცნობის გზით, ასევე სკოლის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებზე, სადაც თანამშრომლებს წარედგინებათ სკოლის შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. პერსონალისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ფორმები. ამასთან ერთად სკოლა გეგმავს საინფორმაციო შეხვედრების ციკლს მოსწავლეთა

მშობლებისთვის, რომლის ფარგლებშიც განიხილება როგორც მოსწავლეთა და მშობელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის საკითხები, ასევე მოზარდის განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები და ა.შ. **ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის მართვის მექანიზმები;
2. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
3. ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
4. შინაგანაწესი;
5. განცხადებების და საჩივრის განხილის წესი.
6. ინტერვიუს შედეგებით.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი აქვს გაწერილი: მშობლებთან ურთიერთობის წესი, პედაგოგიური საბჭოს დებულება, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, კლასის ფსიქოლოგის დებულება. მათში დეტალურადაა აღწერილი ყველა ის მექანიზმი, რომლის დახმარებითაც სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობს. პედაგოგიურ საბჭოსა და კლასის აკადემიურ საბჭოში მასწავლებლის წევრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის შესაძლებლობას.

უკუკავშირის მისაღებად სკოლა პერიოდულად ჩაატარებს სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვებს. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზეც მოახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და დასახავს პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს. სასწავლო წლის დასაწყისში, გაიმართება თითოეული კლასის მშობელთა საინფორმაციო შეხვედრები,

სადაც კლასის ფსიქოლოგები მშობლებს გააცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. მშობლები, კლასის ფსიქოლოგების დახმარებით, სკოლის ადმინისტრაციას გაუზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს სწავლა-სწავლების საკითხებზე, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებსა და სასკოლო გარემოს გაუმჯობესების კუთხით. გარდა ამისა, სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ მშობელს ექნება შესაძლებლობა შეხვდეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხი.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან, შესაბამის პოლიტიკასთან, მის ცვლილებებსა და განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასავრცელებლად, სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფა. გარდა ამისა, სკოლას აქვს საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი სოციალური გვერდი, რომელიც დამატებით საინფორმაციო არხს წარმოადგენს. პერიოდულად თითოეული კლასის ფსიქოლოგი ინდივიდუალურად შეხვდება თითოეული მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილება სკოლაში მიმდინარე პროცესები, მოსწავლის ინდივიდუალური პორტფოლიო, მისი განვითარების ეტაპები, საჭიროებები და დაისახება კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები. უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირებისთვის სკოლაში გაიმართება პედაგოგიური საბჭოები, კათედრის სხდომები, კლასის აკადემიური საბჭოები თუ სხვა მიზნობრივი შეხვედრები. **ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლას ჰყავს პედაგოგიური საბჭო, რომელიც აერთიანებს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო, დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებაში ჩართულ ყველა მასწავლებელსა და კლასის ფსიქოლოგებს. პედაგოგიური საბჭოს საქმიანობა რეგულირდება პედაგოგიური საბჭოს დებულებით. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების განხილვა და სხვა. სკოლის ფილოსიფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც სკოლის ადმინისტრაციის წევრები, ისე მომავალი მასწავლებლები. ასევე, სტრატეგიული გეგმის და ფილოსოფიის რევიზირების პროცესში, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში სამომავლოდ ჩაერთვებიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. საგნობრივი კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლაში შეიქმნება სამუშაო ჯგუფები (ისგ), რომლის შემადგენლობაში შევლენ საგნის

მასწავლებლები, კლასის ფსიქოლოგი და მშობელი. მოსწავლის მშობელი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს შვილის განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესში.
მშობლები აქტიურად იქნებიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, მუდმივად ითანამშრომლობენ კლასის ფსიქოლოგთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ღონისძიებაში, გასვლით შეხვედრებში, ექსკურსიებში და დაეხმარებიან სკოლას შეიქმნას თანამშრომლობითი, შემოქმედებითი, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო. **ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
2. მშობელთან ურთიერთობის წესი;
3. პედაგოგიური საბჭოს დებულება;
4. კათედრის დებულება;
5. კლასის ფსიქოლოგის დებულება.
6. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანია, რომ სკოლას შესყიდული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება. მის ფუნქციებში შედის პერიოდულად უსაფრთხოების საკითხების შესწავლა, საჭირო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ამ მიმართულებით. სკოლაში გეგმიურად ჩატარდება ტრენინგები და იმიტირებული საგანგებო სწავლებები უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი სახანძრო აღჭურვილობით, ინფრასტრუქტურით, სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით.
სკოლას ჰყავს დაცვის სამასხურის თანამშრომლები, რომლებიც გააკონტროლებენ შენობაში უცხო პირთა შეშვებას. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფილია გარე და შიდა სათვალთვალო კამერებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დიდი ყურადღება დაეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. ყოველდღიურად, სწავლის დაწყებისთანავე კლასის ფსიქოლოგები დაადგენენ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლას მიმართვა გაგზავნილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან. სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომელშიც იკითხება, რომ შენობის ექსპლუატაცია დასასშვებია. **ინდიკატორი 3.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა ექიმის კაბინეტში ყველა აუცილებელი ინვენტარისა და მედიკამენტის ქონა. **ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას ბრძანებით განსაზაღვრული ჰყავს საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი, ასევე, უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობების" შესაბამისად, სკოლა აპირებს შეათანხმოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საკონტაქტო უფლებამოსილი პირებისა და ცხელი ხაზის ნომრები. პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, პრევენციის მიზნით სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით და კლასის ფსიქოლოგებისა და მშობლების ჩართულობით გაიმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები. **ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის უმთავრესი პრიორიტეტი მოსწავლისთვის აკადემიურ განვითარებასთან ერთად ფსიქოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაა. სწორედ ამიტომ სკოლაში იმუშავებს ფსიქოლოგთა გუნდი. თითოეულ კლასს ეყოლება "კლასის ფსიქოლოგი", რომელიც იზრუნებს სასწავლო გარემოს მუდმივ გაჯანსაღებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარების გზების განსაზღვრაზე. შესაბამისად, სკოლაში დანერგილი იქნება მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის სისტემა. ფსიქოლოგები აქტიურად ითანამშრომლებენ მშობლებთან და სრულ ინფორმაციას მიაწვდიან შვილის განვითარებასა და აკადემიურ მოსწრებაზე (პირადი შეხვედრების, ელექტრონული ჟურნალისა თუ მეილის საშუალებით), დასახავენ თითოეული

მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარების ინდივიდუალურ გეგმას, ჩაატარებენ აღმზრდელობითი ხასიათის შეხვედრებს, წარმართავენ წიგნიერებისა და ემოციური ინტელექტის სავალდებულო კლუბების შეხვედრებს. კლასი ფსიქოლოგი ასაკის შესაბამისად იმუშავებს შემდეგ მიმართულებებზე: პიროვნული და სოციალური განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგის პრევენცია და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს კლასის ფსიქოლოგის მუშაობის დებულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ის საკითხები, რომლებზე მუშაობითაც სკოლა უზრუნველყოფს ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს რეფერირების წესი. **ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ჰყავს დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას განახორციელებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის 01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია ჰიგიენის დაცვის რეგულაციები. სკოლის ექიმი ზედამხედველობას გაუწევს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. მიაწვდის ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ. **ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ასევე, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ვიდეომონიტორინგის განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტებით. გარდა აღნიშნულისა, სკოლას შემუშავებული აქვს ინციდენტზე რეაგირების წესი. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას, მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში, მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას და სხვა. **ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია (პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ვიდეომონიტორინგის პოლიტიკები, ინციდენტზე რეაგირების წესი) აყალიბებს დასაქმებულთა, მოსწავლეთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა, სკოლაში ვიზიტორთა და ვიდეოსათვალთვალო სისტემის არეალში მოხვედრილ სხვა პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტაციაში დეტალურადაა განსაზღვრული, თუ რა სახის პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს სკოლა, ასევე, ჩამოთვლილია ის თანამდებობები, რომლებსაც წვდომა აქვთ სკოლის მიერ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე. გარდა აღნიშნულისა, სკოლას გააჩნია დამატებითი დაცვის მექანიზმები. მაგალითად, თითოეული პირისათვის, რომელიც სარგებლობს ელეტრონული სისტემით, შექმნილია დამოუკიდებელი მომხმარებელი და პაროლი. კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც ხდება ვიდეომონიტორინგის განხორციელება განთავსებულია განცალკევებით, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, ასევე, განსაზღრულია ვიდეომონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვიდეოსათვალთვალო სისტემის სრულ ადმინისტრირებას. **ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას შესყიდული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება. მის ფუნქციებში შედის პერიოდულად უსაფრთხოების საკითხების შესწავლა, ამ კუთხით სკოლის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება-განხორციელება. გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლა ყოველწლიურად ჩაატარებს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების კვლევას. აღნიშნული კვლევა ბევრ ინფორმაციას მისცემს სკოლის ადმინისტრაციას, რამდენად კმაყოფილია სასკოლო საზოგადოება მიმდინარე პროცესებით, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ სკოლაში თავს, რამდენად მისაღებია მათთვის სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები და სხვა. შეფასებისა და გამოკითხვის შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების მიზნებისათვის. **ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. წერილი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმების წერილი;
3. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;

4. სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაგზავნილი წერილი წესის შეთანხმებაზე;
5. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე
პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანებები;
6. შინაგანაწესი;
7. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
8. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები;
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა.
10 ინტერვიუს შედეგებით;
11. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს „აზროვნების აკადემიას მოზარდებისთვის“ სკოლის ფუნქციონირებისთვის 2036 წლის 10 ივნისამდე დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს ქ. თბილისი, ბაგები, ზურაბ საკანდელიძის N9-ში (მეტრა პარკი) მდებარე 1699.00 კვ.მ. მიწის ფართი შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1- საერთო ფართობით 1823.30 კვ.მ.(I სართული ფართით 555.20 კვ.მ, II სართული ფართით 556.90 კვ.მ, III სართული ფართით 553.80 კვ.მ, IV სართული ფართით 116.80 კვ.მ, V სართული ფართით 20.30 კვ.მ, VI სართული ფართით 20.30 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:10/06/2036; 2026 წლის 01 სექტემბრამდე მოიჯარეს იჯარის საგანი იჯარის უფლებით გადაეცემა პირველი სართულის ფართობი 555.20 კვ.მ.-ის გარეშე, 01 სექტემბრიდან კი სკოლის სარგებლობაში იქნება დარჩენილი 555,2 კვ.მ ფართიც.

სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში ამჟამად მოწყობილია 9 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღიჭურვება ინდივიდუალური მერხებითა და დაფებით, რომელთა შესყიდვის პროცესიც სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა, თუმცა ვიზიტის დროს სკოლას ჯერ არ ჰქონდა მიღებული აღნიშნული რესურსი მომწოდებლისგან. **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ უკვე წარმოადგინა აღნიშნული რესურსების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები.** თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური სასკოლო დაფით, საპრეზენტაციო ეკრანით, კომპიუტერით. ასევე, სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი და მცირე დახურული დარბაზი. გარდა ამისა, სკოლაში არის ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, ბადმინტონის ჩოგნები/ბურთები, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაშია არაერთი პროექტორი, კომპიუტერი/ლეპტოპი, რომელთა ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეში. **ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება აქვთ ისარგებლონ საერთო სივრცეებით, როგორებიცაა ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის ნებისმიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს სკოლის კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი ფონდით. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ყველას ექნება შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარის

დახმარებით, გამოიყენოს ბიბლიოთეკაში განთავსებული პრინტერის/ქსეროქსის აპარატი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. კომპიუტერული ლაბორატორია ხელს უწყობს სკოლაში საგაკვეთილო და საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას. ის უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ შეუზღუდავად გამოიყენონ კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები და სხვა რესურსები. სხვადასხვა სპორტული თუ ინტელექტუალური ღონისძიებების დროს მოსწავლეები/მასწავლებლები ისარგებლებენ საჭირო ინვენტარით. **ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე - დამხმარე. სკოლის ბიბლიოთეკაში არის მხატვრული ლიტერატურა, ინგლისურენოვანი წიგნები, პერიოდული გამოცემები და ა.შ. ორგანიზაციას აქვს საკუთარი გამომცემლობა, რომელიც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნის საბიბლიოთეკო ფონდის გასამდიდრებლად. სკოლა სარგებლობს ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალით bibliocat.ge. სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებელობა აქვთ, გაიტანონ და სახლში გაეცნონ წიგნებს ან ადგილზე ისარგებლონ სამკითხველო სივრცით. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად მართავს პროცესებს. **ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა არის ადაპტირებული, კერძოდ, ადმინისტრაციულ შენობას აქვს პანდუსი შენობაში შესასვლელად, შენობაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია) ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის პირველ სართულზე. ამ ეტაპზე ეტლით მოსარგებლეს აქვს შესაძლებლობა, რომ ყველა სერვისითა ისარგებლოს და არ დაირღვეს მისი უფლებები, თუმცა დასკვნის პროექტში სკოლას მიეცა რჩევა, რომ **სამომავლოდ, სასურველია, იზრუნოს შენობის სრულ ადაპტირებაზე. აღნიშნული საკითხი სკოლამ გაიზიარა და არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ ამ ეტაპზე ძირითადი სასწავლო რესურსები (ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, მცირე სპორტული დარბაზი, კაფეტერია, საკლასო ოთახი) განთავსებული აქვს პირველ სართულზე, მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდასთან ერთად კი გეგმავს სხვა სართულების სრულად ადაპტირებასაც. ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი შენობა, ეზო, მოსასვენებელი თუ სამუშაო სივრცეებით, რომელთა დახმარებითაც სასკოლო საზოგადოების წევრებს ექნებათ საშუალება დაგეგმონ და განახორციელონ სოციო-კულტურული აქტივობები: საკლუბო მუშაობები, პროექტები, ღონისძიებები, შემოქმედებითი და სპორტული ხასიათის შეხვედრები, კვირეულები და ა.შ. არსებული სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა, თანამშრომლებმა და მშობლებმა ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, მოაწყონ შემეცნებითი თუ საინფორმაციო შეხვედრები და სხვა. **ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ბიბლიოთეკის დებულება;
3. კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი;
4. იჯარის ხელშეკრულება.
5. ინტერვიუს შედეგებით;
6. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში, მათ შორის საკლასო ოთახებში. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსები, საპრეზენტაციო ეკრანები. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერი/სკანერის აპარატით. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გამოყენება როგორც საგანმანათლებლო, ასევე ადმინისტრაციული მიზნებისთვის. **ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერებითა და ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს მასზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული წესის თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე; მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ-გვერდით; მომხმარებელი უფლებამოსილია იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე; დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გასართობი აქტივობებისთვის.**ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია;
2. ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;

3. კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი.
4. ინტერვიუს შედეგებით;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა იყენებს სპეციალურად შეძენილ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას საქმისწარმოებისთვის, მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. **ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები - სპეციალური ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, კორპორატიული ელექტრონული ფოსტა. თანამშრომლებში ინფორმაციის და კორესპოდენციის გასავრცლებლად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა schoolazraki@gmail.com. სკოლა გეგმავს ელექტრონული ჟურნალის შეძენასაც. **ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე, რადგან არ აქვს აქტიური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სკოლას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა საჭირო ინფორმაციას და საქმისმწარმოებელი იქნება პასუხისმგებელი მის წარმოებაზე. **ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ითანამშრომლებს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან - საგანმანათლებლო რესურსცენტრის გავლით და მისივე დახმარებით სკოლა დაამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან შესაბამისი ნებართვების მოპოვებისა და საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. სკოლა პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით, გააკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე https://saras.gov.ge/ წარსადგენად და ყოველთვიურად წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს. **ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე გაფორმებული ხელშეკრულება;
3. ფინანსური ანგარიშგება.
4. ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადობის ინფორმირებისათვის იყენებს ვებგვერდს, სოციალურ ქსელს (Facebook, Instagram, youtube არხს), მოკლე ტექსტურ შეტყობინენებს, სატელეფონო ზარებს, სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას, პირისპირ შეხვედრებს, ღია კარის დღეებს. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით საინფორმაციო არხებზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელი და ინსტაგრამი გამოიყენება სწრაფი, მყისიერი კომუნიკაციისათვის და მათზე თავსდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაში დაგეგმილი ან განხორციელებული აქტივობების შესახებ. ვებ-გვერდის განახლება მიმდინარეობს მასზე განთავსებული ინფორმაციის ცვლილების კვალდაკვალ გონივრულ ვადებში. სკოლას ჰყავს სოციალური მედიის მენეჯერი, რომელიც მართავს აღნიშნულ საკომუნიკაციო არხებს. **ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია სოციალური მედიის მენეჯერი, რომელიც ახორციელებს სკოლის თანამშრომელთა, მომავალ მოსწავლეთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და ზოგადად ფართო საზოგადოების ინფორმირებას სკოლის მიერ განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ. სოციალური მედიის მენეჯერი, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ამზადებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებისათვის მისაწოდებლად. ამასთან, თავადვე ტვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე და პასუხობს საზოგადოების უკუკავშირს. შესაბამისად ყველა ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება სკოლიდან, არის სანდო და უტყუარი. **ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებრივი აზრის გაზიარების მიზნით სკოლა ჩაატარებს სხვადასხვა სახის კვლევას, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და შედეგებს გაითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლას აქვს მზაობა სასკოლო საზოგადოების ანონიმური გამოკითხვა და სკოლის ადმინისტრაციის ინდივიდუალური შეხვედრების პრაქტიკა გამოიყენოს სკოლის განვითარებისთვის. **3.6.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი school.azraki.ge, რომელზეც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული. სკოლის ვებგვერდიდან შესაძლებელია გადასვლა სკოლის სოციალურ ქსელზე. **ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე school.azraki.ge განთავსებულია სკოლის სიახლეები და სტანდარტით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. school.azraki.ge;
2. https://www.facebook.com/profile.php?id=61574108039499&locale=ka_GE
3. ინტერვიუს შდეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ძირითადი შემოსავალი იქნება მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულება ფინანსებს სამოქმედო გეგმის შესასრულებლად მიმართავს. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს აუცილებელ თანხებს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, წახალისებისათვის და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე შესაძენი რესურსებისთვის. **ინდიკატორი 3.7.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

შპს „აზროვნების აკადემიას მოზარდებისთვის“ ადმინისტრაციულ გუნდს აქვს ფინანსური რესურსების ორგანიზებული და თანმიმდევრული მართვის გამოცდილება. ფინანსური დაგეგმვისას სკოლა მოახდენს ფინანსურ ანალიზს - სავარაუდოდ მისაღები შემოსავლების პროგნოზირებას. საჭიროების შემთხვევაში, მოხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას ჰყავს ფინანსისტი და ბუღალტერი, რომლებიც ექვემდებარებიან ორგანიზაციის დირექტორ(ებ)ს და ანგარიშვალდებულნი არიან მათ წინაშე. სკოლის ფინანსისტი უზრუნველყოფს სკოლის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვას, აღრიცხვას, ანალიზსა და კონტროლს მოქმედი კანონმდებლობისა და ორგანიზაციის შიდა წესების შესაბამისად. ბუღალტერი უზრუნველყოფს სკოლის ფინანსური ოპერაციების სრულ და დროულ აღრიცხვას, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებასა და ანგარიშგებას მოქმედი საბუღალტრო სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ფინანსური სამსახური უზრუნველყოფს სკოლის ანგარიშებისა და გადასახადების, საგადასახადო პროცედურების მართვას და სკოლის მიერ საბუღალტრო წარმოების პრინციპების დაცვას. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://saras.gov.ge/ -ზე წარსადგენად. **ინდიკატორი 3.7.3.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი;
2. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
3. ფინანსური ანგარიშგება
4. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ეფუძნება მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვის პრინციპს. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია საჩივრების განხილვის წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის მიერ საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებსა და პრინციპებს. სკოლას აქვს შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს

მოსწავლეების ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით სკოლაში სწრაფი და ეფექტური რეაგირების მექანიზმებს და განსაზღვრავს სკოლაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საქართველოს რეფერირების სისტემაში სკოლის მონაწილეობის წესს. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიებს ქმნის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც. **ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა შიდა რეგულაციებით იღებს ვალდებულებას მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: სკოლის მთავარი პრინციპები, ფილოსოფია, სკოლის შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები, სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, უსაფრთხოების წესები, სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები და ა.შ.

სკოლის უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის ქცევის კოდექსის, შინაგანაწესის, მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოების წესების, საჩივრის წარდგენის წესის შესახებ. სკოლაში პერიოდულად გაიმართება შეხვედრები ზემოთ აღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის მიზნით. სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის, სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. კლასის ფსიქოლოგები მოსწავლეებს მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზეც. **ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სამუშაო ვერსია. სკოლა ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გააფორმებს ხელშეკრულებას ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა

მშობელს. აღნიშნულ ხელშეკრულებაში, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და სკოლის უფლებები და მოვალეობები, გადახდის პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. **ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. შინაგანაწესი;
2. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი და საჩივრის განხილვის კომისიის შექმნის ბრძანება;
3. მშობლებთან გასაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
4. მედიაციის წესი;
5. ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და პასუხისმგებელ პირზე ბრძანება
6. ინტერვიუს შედეგებით.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი თითოეული პროცესის ეტაპები და საჭირო მოქმედებები. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიიღოს საქმისმწარმოებელმა ინფორმაცია ჩარიცხვის პროცედურებისა და სკოლაში სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ, აგრეთვე მოსწავლის სტატუსის მოპოვების პროცესში საჭირო პროცესებსა და პირობებს. სკოლის მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებულები იქნებიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, კლასის ფსიქოლოგები მათ მიაწვდიან ინფორმაციას მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურების შესახებ, როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებების დროს. გარდა ამისა, კლასის ფსიქოლოგები

მშობლებს შეატყობინებენ გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს, მათ შორის სტატუსის შეჩერების შესაძლებლობას. მოსწავლეთა ჩარიცხვასთან/მიღებასთან/საფეხურის დაძლევასთან/მობილობასთან/სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას აქვს მზაობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დაცვით განახორციელოს პროცესები, მოსწავლეთა მიღება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. **ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა რეგულაციების მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოხდება მშობლებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილების გაცნობა. კლასის ფსიქოლოგების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული ან/ და სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. წინამდებარე ინფორმაცია განთავსდება სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად შეხვდება მშობლებს და გააცნობს მნიშვნელოვან სიახლეებსა და გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

კლასის ფსიქოლოგები მუდმივ კომუნიკაციაში იქნებიან მშობლებთან და მიაწვდიან მათ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საინტერესო საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობელთან ურთიერთობის დებულება;
2. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
3. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
4. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან შეგუებისა და სასკოლო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციის დამყარების მიზნით, სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლაში ფსიქოლოგთა გუნდის

მუშაობის მასშტაბი ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლაში მოსწავლეების ტრანზიციისა და ადაპტაციის პროცესი წარმატებით განხორციელდეს. **ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ დამტკიცებული ადაპტაციის წესის მიხედვით, კლასის ფსიქოლოგები ახალ მოსწავლეებს დაეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში. ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. კლასის ფსიქოლოგი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს გააცნობს კლასის მასწავლებლებს, დაათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირველკლასელთა ადაპტაციას. საჭიროებისას, სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ორგანიზებას გაუწევს მოსწავლისა და მშობლის ფსიქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელთან შეხვედრას, გააცნობს მას კლასის სხვა მოსწავლეებს, მშობელს გააცნობს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა სასწავლო წლის მიმდინარეობისას განახორციელებს აკადემიური მიღწევების მონიტორინგს, შეიქმნება მოსწავლეთა პორტფოლიოები, რომლებიც ასახავს მოსწავლეთა განვითარების (პროგრესის თუ რეგრესის) დინამიკას. თითოეული მოსწავლისთვის შეიქმნება ფსიქო-სოციალური განვითარების გეგმა. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაზე დაკვირვების მიზნით, სკოლაში მუდმივად მოხდება მონაცემთა შეგროვება. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეების სასწავლო შედეგების ამაღლების მიზნით; დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა მშობლებს ინდივიდუალურად შეხვდებიან შესაბამისი კლასის ფსიქოლოგი ან/და მასწავლებელი. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილება არსებული გამოწვევები და ერთობლივად დაისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მოსწავლის საჭიროების მიხედვით შესაძლებელია შედგეს რემედიაციის პროგრამა. **ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას, სურვილის შემთხვევაში, განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობაზე. სკოლა მოახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას ნიშნის ამაღლების შესაძლებლობისა და პროცედურების შესახებ. საჭიროებისამებრ, მოსწავლეებს შესთავაზებს რემედიაციის პროგრამას და ამ გზით დაეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლა მოსწავლესა და მის მშობელს დაეხმარება კანონმდებლობით

გათვალისწინებული შესაძლებლობების რეალიზებაში. მოსწავლეთა შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, სკოლას შემუშავებული აქვს მედიაციის წესი. **ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მათ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას მრავალფეროვანი წრეების/კლუბების ფუნქციონირების გზით. სკოლას 2025-2026 სასწავლო წელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ექნება შემდეგი სავალდებულო კლუბები: წიგნიერება - (დრამა, შემოქმედებითი წერა, კითხვის კლუბი, მხატვრული ლიტერატურის კლუბი), ემოციური ინტელექტი, რიტმიკა, არტი და კრაფტი, ტანვარჯიში,რობოტიკა.
ასევე, სკოლას 2025-2026 სასწავლო წელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ექნება შემდეგი არჩევითი კლუბები: ეკო კლუბი, შემოქმედებითობის კლუბი, მეცნიერება და STEAM აღმოჩენები, წერის სახელოსნო, Native speaker, დრამის კლუბი, კარატე, ცეკვა, ფეხბურთი. გარდა აღნიშნულისა, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს მათ ინიციატივებს, მოსაზრებებს და მაქსიმალურად შეეცდება დააკმაყოფილოს ისინი შესაძლებლობის ფარგლებში. **ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა, გარკვეული პერიოდულობით, სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით ჩაატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სხვადასხვა აქტივობას და შეეცდება გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. შესაძლებლობის ფარგლებში დაგეგმავს გასატარებელ ღონისძიებებს მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
3. მედიაციის წესი;
4. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

5. ინტერვიუს შედეგებით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

ინტეგრირებული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებულია პროექტი პროფესიებთან დაკავშირებით. ამასთან, კლასის ფსიქოლოგი მოსწავლეებს ხელს შეუწყობს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში, ისინი გაეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. პროფესიის განსაზღვრის პროცესი მრავალ ასპექტს მოიცავს, უპირველესად კი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს: თითოეული კლასის ფსიქოლოგი წარმართავს პიროვნული ზრდის და ემოციური ინტელექტის განვითარების საათს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი თავის გამორკვევაში, პიროვნულ ზრდაში, ემოციების კონტროლში. **ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიას. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაცია და კლასის ფსიქოლოგები დაგეგმავენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან (მათ შორის, მშობლებთან) შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ პროფესიის წარმომადგენლებს შეხვდნენ და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული დისკუსიები, ასევე, გაიმართება მე და საზოგადოებისა და პიროვნული ზრდისა და ემოციური ინტელექტის განვითარების საათზე. გარდა ამისა, სკოლის ორგანიზებით სხვადასხვა უნივერსიტეტისა და კოლეჯის წარმომადგენლები მოსწავლეებთან გამართავენ შეხვედრებს, სადაც ისინი მოსწავლეებს გააცნობენ სხვადასხვა პროფესიის თავისებურებებს. **ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმავს შემდგომ ეფექტურ ღონისძიებებს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით. **ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პიროვნული ზრდისა და ემოციური ინტელექტის საათის პროგრამა.
2. ინტერვიუს შედეგებით

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ასაკისა და უნარის მქონე მოსწავლეების სრულფასოვანი ჩართვა სასწავლო პროცესში, მათი შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად. სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური (სასწავლო რესურსები, ადაპტირებული სველი წერტილი) და ადამიანური რესურსი (კვალიფიციური ფსიქოლოგთა გუნდი), რომელსაც გამოიყენებს სსსმ მოსწავლეთა სწავლების უზრუნველსაყოფად. სკოლას ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, იგი მზაობას აცხადებს მიიღოს სსსმ მოსწავლე და შეუდგინოს უშუალოდ მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

მასწავლებლებისა და კლასის ფსიქოლოგების ძალისხმევით, თითოეულ კლასში უზრუნველყოფილი იქნება მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული საგანმანათლებლო გარემო. სწავლება განხორციელდება ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. სკოლაში პერიოდულად დაიგეგმება სხვადასხვა საგანმანათლებლო კამპანია ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ამ გზით, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერას. **ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა.
3. ინტერვიუს შედეგებით.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა I-VI კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ორჯერად კვებას ხემსით. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ტრანსპორტირების სერვისის შეთავაზებაც. კვების მომსახურება განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სკოლა თავადაც და შესაბამისი მარეგულირებელი უწყებებიც განახორციელებენ პროცესის მონიტორინგს. **ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას 2025-2026 სასწავლო წელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ექნება შემდეგი არჩევითი კლუბები: ეკო კლუბი, შემოქმედებითობის კლუბი, მეცნიერება და STEAM აღმოჩენები, წერის სახელოსნო, Native speaker, დრამის კლუბი, კარატე, ცეკვა, ფეხბურთი. სასკოლო კლუბები შეიქმნება მოსწავლეთა ინტერესებისა და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზად იქნება მშობლებთან კომუნიკაციისთვის. მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ მიმართონ სკოლის მენეჯმენტს კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღების სურვილით. **ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებების განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესებს არეგულირებს შინაგანაწესი, რომლის დაცვა სავალდებულოა სკოლაში მყოფი ყველა პირისთვის. სკოლა იღებს ვალდებულებას, აკონტროლოს და უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებულებისთვის შექმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო. ამისათვის, სკოლას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. მშობელთან ურთიერთობის წესი;
3. მშობლებთან გასაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
4. დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების ჩამონათვალი;
5. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლა ახლად დაარსებულია. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მკაფიოდ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ციკლურ, უწყვეტ განვითარებას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების ყველა ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობას, სიღრმესა და კონტექსტუალურობას.

მეთოდოლოგიური მიდგომა ეყრდნობა ჩართულობის, თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. მასში ცალსახად არის განსაზღვრული კურიკულუმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც კიდევ უფრო ამყარებს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. ესენი არიან: აკადემიური დირექტორი, პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი და კათედრის თავმჯდომარეები. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ახლად დაარსებული სკოლა 2025–2026 სასწავლო წლიდან გეგმავს საგანმანათლებლო პროცესის დაწყებას. მიუხედავად ახალი სტატუსისა, სკოლას ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მენეჯმენტისა და აკადემიური მიმართულების გუნდი, რომელიც ფლობს მრავალწლიან პროფესიულ გამოცდილებას სწავლების სფეროში.

სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მმართველმა გუნდმა გამოიყენა ღია კომუნიკაციისა და ხარისხის შეფასების მექანიზმები: განხორციელდა სავარაუდო სასკოლო თემის ზეპირი გამოკითხვა, მუდმივი დაკვირვება და უკუკავშირის ანალიზი. შედეგად მიღებული ინფორმაცია საფუძვლად დაედო სასკოლო კურიკულუმის შედგენას.

სასწავლო გეგმა შემუშავებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინებით და ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს მის თანამედროვე, ინკლუზიურ და საჭიროებებზე ორიენტირებულ ხასიათს.

კურიკულუმი გამოხატავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და მოლოდინებს, რაც მის შინაარსს აძლევს ადგილობრივ კონტექსტზე მორგებულობასა და შესაბამისობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კურიკულუმი საფუძველად იღებს სასკოლო საზოგადოების ინიციატივით გამოხატულ მისწრაფებას ინტეგრირებული და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სწავლების მიმართ. სწორედ ამ საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა დაფუძნებულია ინტეგრირებულ თემატურ დაგეგმვაზე და პროექტულ სწავლებაზე, სადაც საგნები თემატურად ერთიანდება. ყოველი სასწავლო პროექტის ბოლოს მოსწავლეები ქმნიან საბოლოო პროდუქტს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა საგანში მიღებულ ცოდნასა და უნარებს. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის პროფესიული საზოგადოების აქტიური მონაწილეობითა და თანამშრომლობით. პროცესის ორგანიზება და განხორციელება დაეფუძნა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ მუშაობას, თანმიმდევრულობასა და ჩართულობის პრინციპებს.

კურიკულუმის შემუშავებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სკოლის მასწავლებლები, საგნობრივი პროგრამების ხელმძღვანელი და აკადემიური დირექტორი. ინტერვიუების ფარგლებში აღნიშნულმა პირებმა დეტალურად აღწერეს კურიკულუმის შემუშავების ეტაპები, გადაწყვეტილებების მიღების პროცესები და ის პრაქტიკული მიდგომები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა სასკოლო გეგმა. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართული სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნულ დოკუმენტს სრულად იზიარებენ, რაც მათ მონაწილეობასა და ინიციატივაში ნათლად იკვეთება. გაზიარება არ გამოიხატება მხოლოდ კურიკულუმის ერთჯერად დამტკიცებაში – იგი განიხილება როგორც დინამიკური და უწყვეტი პროცესის ნაწილი, რომელიც ეფუძნება თანმიმდევრულ თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობის განაწილებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მიზანმიმართულად მოიცავს გაზიარების კომპონენტს — განსაზღვრულია დოკუმენტის რევიზიისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომელთა ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კვლავ აქტუალურია. აღნიშნულ პროცესში პედაგოგიური კოლექტივი უზრუნველყოფს უკუკავშირის სისტემატიურ მიწოდებას, რაც კურიკულუმის განახლებისა და გაუმჯობესების საფუძვლად იქცევა.

ამგვარად, კურიკულუმი არ წარმოადგენს მხოლოდ მმართველი გუნდის მიერ მიღებულ დოკუმენტს, არამედ განიხილება როგორც ერთობლივად შექმნილი, გაზიარებული და გაწვდილი საგანმანათლებლო ჩარჩო, რომლის შინაარსსა და მიზნებს

სკოლის პროფესიული საზოგადოება სრულად იზიარებს და პრაქტიკაში ახორციელებს. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. ინტეგრირებული კურიკულუმის გზამკვლევი;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. ინტეგრირებული პროექტები;
5. ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულიმები დაწყებით საფეხურზე სრულად წარმოადგენს მოსწავლის განვითარების გზას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო თემატური ერთეულებით, სადაც თითოეული საგნის ინტეგრირება ჩანდა ნათლად და მკაფიოდ. კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხედვა და შეუძლია დაინახოს მოსწავლეთა განვითარების ეტაპობრივი სვლა. შუალედური მიზნები დაფუძნებულია ასაკობრივი თავისებურებებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც ხელს უწყობს

	მოტივაციის ამაღლებას და უზრუნველყოფს მათი მაქსიმალური ჩართულობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა გეგმავს მოსწავლეების ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაზღვროს პროექტები, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს საგნობრივ სწავლებასა და მოსწავლეების უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული ინტეგრირებული პროექტები (ჩემი საყვარელი სათამაშო, ჩემი ოჯახი და სკოლა, გემრიელი ნიადაგი, დიორამა მაკეთი მზის სიატემა, შემოდგომის კალენდარი და აშ) ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. რაც მთვარია, თითოეული საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ერთმანეთს და გამოიყენონ საკუთარი ნაშრომის წარდგენისას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** სკოლას აქვს გამართული სასკოლო კურიკულუმები, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები როგორც საგნობრივ, ასევე ინტეგრირებულ ჭრილში. კურიკულუმები შეესაბამება ესგ -ს მიხედვით წარმოდგენილ თემებს და სკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო ენის (I-VI კლასების) საგნობრივი და ინტეგრირებული კურიკულუმები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, საბოლოო ინტეგრირებული პროდუქტი უზრუნველყოფს საგნობრივი გრძელვადიანი მიზნების (ასევე გამჭოლი კომპეტენციების, დამატებითი შედეგების) მიღწევას. სწავლება დაგეგმილია ინტეგრირებულად. ერთი თემა დამუშავდება ყველა ინტეგრირებულ საგანში, თემა შეჯამდება საბოლოო ინტეგრირებული პროდუქტით, რომელსაც მოსწავლე წარადგენს. განსაზვრულია სავალდებულო სასწავლო პროექტების რაოდენობა ყველა კლასსა და სემესტრში. **ინდიკატორი შეესაბამება**.

მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოადგინილი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განსახორციელებელი სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების და ესგ-ით განსაზღვრულ მიღწევაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მტკიცებულებებით ასახავს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა ეფუძნება საგნობრივ შედეგებსა და შესაბამის გრძელვადიან მიზნებს. ძირითადად, მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ სასწავლო პროცესი სტრუქტურირდება საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად და თემატური ბლოკების ფარგლებში მუშავდება ეროვნული გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მათი ქვეცნებები და შესაბამისი შედეგები. თითოეული თემატური ბლოკი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული გეგმის მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	ორივე უცხო ენის კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ინტეგრირებული პროექტები შუალედური მიზნის სახით, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. თითოეული თემის ფარგლებში, გამოყოფილია თუ რომელ თემატურ ბლოკს მიემართება იგი და რა კონკრეტული საკითხების შესწავლას ეთმობა იგი. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ხელოვნება:** კურიკულუმები იმდაგვარადაა დაგეგემილი, რომ ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის სარეკომენდაციო თემები, რომელიც პასუხობს საგნობრივ სტანდარტებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივსა და ინტეგრირებულ კურიკულუმებში, ინტეგრირებულ პროექტებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმილი ინტეგრირებული პროექტები უზრუნველყოფს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებასა და სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით

	სავალდებულო და არჩევით კლუბებს (შემოქმედებითობის კლუბი, წერის სახელოსნო, წიგნიერება და ა.შ.), რაც დამატებითი საშუალება იქნება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სკოლის წარმომადგენელებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ კლუბების მუშაობა თანხვედრაში იქნება გრძელვადიან მიზნებთან. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ თემებს და თემატიკას. დაგეგმილია შუალედური მიზნები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა, აქვთ გამოცდილება და აქვთ ბაზა გამოიყენონ ის რესურსები, რომლებიც დაეხმარებათ მოსწავლეებს მიზნების განხორციელებაში და შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე კურუკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციის ამაღლებას მოსწავლეებში და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსებში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, მრავალფეროვანი ლინკები და იუთუბ არხები. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი ჰქონდა მრავალფეროვანი რესურსები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში იგეგმება ე.წ. თემებით სწავლება, კათედრამ გადაწყვიტა ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად, შეერჩია სხვა არაგრიფირებული სახელმძღვანელები დამატებით რესურსად, რათა სრულყოფილად გასულყივნენ შედეგზე და შეძლებოდათ მასალის მორგება საერთო თემებზე. რესურსები არის ნამდვილად მრავალფეროვანი და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათალისწინებული მიზნების მიღწევას. ზოგიერთ კურიკულუმში საერთოდ არ ფიქსირდება ძირითადი სახელმძღანელო. **სკოლას მიეცა რჩევა**, ძირითად სახელმძღვანელოდ აირჩიოს ის სახელმძღვანელო, რომელიც უფრო მეტად ერგება მათ მიერ შერჩეული თემებით სწავლებას ან იმ კურიკულუმებში, სადაც საერთოდ არაა მოცემული რესურსად ძირითადი სახელმძღვანელო, გაითვალისწინოს მისი გამოყენებაც. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ განმარტა, რომ სამომავლოდ აპირებს ითაწამშრომლოს „ინგლიშ ბუქთან“ და მათი სახელმძღვანელოები გამოიყენოს სასწავლო პროცესში. ავტორიზაციის მიღების შემდეგ შერჩეული სახელმძღვაწელოები შეთანხმებული იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის სამინისტროსთან. **ინდიკატორი შეესაბამება**.

ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ ხელოვნება:** ინტეგრირებულ კურიკულუმში მითითებულია სასწავლო რესურსები, მითითებულია ვებ გვერდები, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ ამ რესურსების მიზნობრივად გამოყენების უნარები სწავლების პროცესში. მითითებული ვებ გვერდები უმეტესად მოქმედია და ემსახურება ცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელოების გარდა სწავლებისას იგეგმება ელექტრონული რესურსების, ციფრული პლატფორმის გამოყენება, რაც მოსწავლეს ცოდნის მიღებასთან ერთად განუვითარებს უნარებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითად რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა რესურსი ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. სახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში გრიფმინიჭებულია. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონი ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, ძირითადი და დამხმარე მასალა მრავალფეროვანია, ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და სრულად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე მოიცავს მრავალფეროვან, მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობის გაზრდასა და საგნობრივი ცოდნის ეტაპობრივად განვითარებას. სასწავლო დავალებები გათვლილია არა მხოლოდ მოსწავლის ინტერესებზე, არამედ მათი უნარების გაძლიერებაზე, რაც ამაღლებს მათი ჩართულობის ხარისხს და სწავლების ეფექტურობას. ინტერვიუების ფარგლებში პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აქტიურად დაეხმარებიან მოსწავლეებს – საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ დაგეგმილი აქტივობების შინაარსობრივ ან ფორმატულ ცვლილებებს, გამოიყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და შესთავაზებენ კრეატიულად მოდიფიცირებულ რესურსებს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესზე დაფუძნებულ, გრძელვადიან ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც ინტეგრირებული პროექტები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე შექმნან ესა თუ ის პროექტი, გააფორმონ მათთვის მისაღები ფორმით და ა.შ. მაგალითად პირველ კლასში უნდა შექმნან საყვარელი სათამაშო. ყველა მოსწავლე იმუშავებს მისი შესაძლებლობის ფარგლებში და წარმოადგენს მისთვის საყვარელ სათამაშოს სასურველი ნივთებისა და მასალების გამოყენებით. გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დიფერენცირებულ მიდგომას იყენებენ შეფასების პროცესშიც. კერძოდ, მათი შეფასების სისტემა შედგება სამი კომპონენტისგან, საშინაო დავალება (20%), საკლასო აქტივობები (20 %) და ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში წარსადგენი დავალება (60%). მათი თქმით, კათედრაზე არაა დადგენილი საშინაო და საკლასო დავალებების ფიქსირებული რაოდენობა, რადგან ისინი თვლიან რომ საბოლოო

	პროდუქტის წარსადგენად ზოგიერთ მოსწავლეს დასჭირდება ნაკლები დავალებების შესრულება და ზოგს -მეტი. აქედან გამომდინარე, ისინი გეგმავენ მოსწავლეებს მისცენ საშუალება წარადგინონ იმდენი დავალება, რამდენიც მათ დასჭირდებათ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად, რაც თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ მიდგომას სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** რადგან სწავლების პროცესს სკოლა გეგმავს ინტეგრირებული პროექტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩავთვალოთ. სკოლას კურიკულუმების გარდა აქვს წარმოდგენილი პროექტული სწავლების ინტეგრირებული პროექტები, დეტალურად გაწერილი ნაბიჯებით და მისაღწევი შედეგებით. **ხელოვნება:** ხელოვნებაში წარმოდგენილი პროექტული სწავლება ითვალისწინებს დიფერენცირებას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომელიც არეგულირებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის საკითხებს და მონიტორინგს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის აქვს მზაობა, სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში, მოსწავლეს შესთავაზოს უსაფრთხო გარემო, შეუდგინოს და ასწავლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მრავალწლიან გამოცდილებაზე, რასაც სწავლებისას გამოიყენებენ. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადება შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.

სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ახალ სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი შეესაბამება**.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სამი კომპონენტების პროცენტული წილის მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებაღ მიღწევების ამაღლებაში. შეფასების არსებული სახე სრულად შეესაბამება პროექტულ და საგანთა შორის ინტეგრირებას, რომელიც სკოლაში განხორციელდება მომავალი წლიდან. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა სწავლების პროცესში გამოიყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც ემსახურება

	როგორც მიმდინარე სწავლის პროცესის მართვას, ასევე მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად. მათი შეფასების კომპონენტები არის მრავალფეროვანი და მოიაზრებს მოსწავლეების ჰოლისტურად შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, რაც ადასტურებს, რომ მასწავლებლები სათანადოდ ფლობენ შეფასების სისტემებს. **ხელოვნება:** წარმოდგენილი დოკუმენტაცია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში წარმატებით განხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემა. მოსწავლე შეფასდება ორი ტიპის, განმავითარებელი და განმსაზღვრელი, შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში. განმსაზღვრელი შეფასების სახეობებია: საკლასო, საშინაო და ინტეგრირებული საბოლოო პროდუქტი. წარმოდგენილია თითოეული კომპონენტის პროცენტული წილი ინტეგრირებულ თემატური ერთეულის შეფასებაში. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. ზოგ შემთხვევაში ეს არის ზოგადი შფასებირ რუბრიკები. გადმოგზავნილი მასალებიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების

	რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასებისა და მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებით საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი ცხრილის სახით წარმოდგენილი;
2. შეფასების რუბრიკები;
3. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
4. ინტეგრირებული პროექტები;
5. სკოლის ვებგვერდი და ვიდეოჩანაწერები, მასწავლებლებთან ინტერვიუ;

6. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
7. განსახორციელებელი პროექტები;
8. შეფასების ვერიფიკაციის წესი;
9. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები დაწყებით საფეხურზე კურიკულუმების შესაბამისად განახორციელებენ სწავლებას. საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეიტანენ ცვლილებაც ნებისმიერ დროს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერების მიმართულებით სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და საგნობრივ მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სწავლება იგეგმება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი კომპონენტების – საგნობრივი მიზნების, თემატური ერთეულების, საკვანძო საკითხებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და ინტეგრირებული პროექტების საფუძელზე, შეგვიძლია ვთქვათ რომ თანამედროვე აზროვნების აკადემიაში იგეგმება სასწავლო პროცესი წარმართვა სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** სკოლას აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც მორგებულია თემებს და ასევე აქვს ინტეგრირებული პროექტების გეგმები, დეტალურად გაწერილი ნაბიჯებით. თუმცა მუსიკის მეოთხე კლასის პროექტში „მოგზაურობა“ არეულია ცნებები; სტანდარტის შედეგები; კრიტერიუმები შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისას. (მოცემულია ისტ. ის საგნის) დასკვნის პროექტით სკოლას მიერცა **რჩევა**: პროექტი მეოთხე კლასში „მოგზაურობა“ დაიხვეწოს და გაიწეროს მუსიკის საგნის შესაბამისად. დაემატოს ელექტრონული რესურსიც, როგორც სხვა საგნების შემთხვევაშია. აღნიშნული რჩევა სკოლამ გაითვალისწინა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებაც. **ხელოვნება:** სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია ინტეგრირებული თემებით, რომელშიც ყველა საგნობრივ ჭრილში უნდა განხორციელდეს ერთი თემატიკა. მაგ: I კლასი „სათამაშო“ ; II კლასი - „ფრთები“; III კლასი - „ოჯახი“ და ა.შ. სასწავლო პროცესის დროს, კვირაში ერთი საათი ეთმობა მუსიკას, ერთი კი ხელოვნებას. თუმცა სკოლას ასევე დანერგილი აქვს კლუბური მუშაობა, სავალდებულო და არჩევითი კლუბებით, რომელშიც სავალდებულოა მუსიკაში „რიტმიკა“, ხელოვნებაში „არტი და კრაფტი“ და მასაც კვირაში

	ეთმობა ერთი საათი, რაც სრულყოფილად ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შესასწავლ ცნებებს, თემებს და საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი და ინტეგრირებული კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, შეფაების რუბრიკები) დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი წარმართოს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერვიუს დროს გამოკვეთა მასწავლებლების მზაობა და პროფესიონალიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ მუშაობენ სწავლა-სწავლების თნამედროვე მეთოდებსა მიდგომებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვისუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით. (დაგეგმილი აქვთ ალტერნატიული აქტივობებიც). **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა გამოირჩევა ადაპტაციის მაღალი უნარითა და საგანმანათლებლო პროცესისადმი მოქნილი მიდგომებით. მენეჯმენტისა და პედაგოგიური გუნდის ჩართულობით, სკოლას გეგმავს, რომ მუდმივად დააკვირდეს საგანმანათლებლო გარემოს დინამიკას, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს, ასევე საგნობრივი და მეთოდური გამოწვევებს.
სასკოლო საზოგადოების მზაობა, ამ მიმართულებით ვლინდება როგორც სასწავლო გეგმის შინაარსობრივ კორექტირებაში, საჭიროების შემთხვევაში, ისე ორგანიზაციულ გადაწყვეტებში — მაგალითად, ინტეგრირებული თემების მოდიფიცირება, დამატებითი მხარდაჭერის მობილიზება, საკლასო მუშაობის სტრუქტურის გადახედვა ან სათანადო რესურსების შექმნა მოკლე ვადაში. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც ესგ-ს შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სამი კომპონენტების პროცენტული წილის მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად მოახდენენ განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც დაეხმარებათ მიღწევების ამაღლებაში. შეფასების არსებული სახე სრულად შეესაბამება პროექტულ და საგანთა შორის ინტეგრირებას, რომელიც სკოლაში განხორციელდება მომავალი წლიდან. დარწმუნებული ვარ სწავლება საინტერესოდ წარიმართება ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა დაწყებით საფეხურზე შეიმუშავებს და განახორციელებს შეფასების ისეთ მოდელს, რომელიც ეფუძნება **სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს**. შეფასების პროცესი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული საგნობრივ მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საკითხებთან. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა **მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.**

	მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ შეფასების კრიტერიუმები, რაც მათ საშუალებას მისცემს სწორად გაიაზრონ სწავლის მოლოდინები და საკუთარი პროგრესის მონიტორინგიც შეძლონ. შეფასების ეს მიდგომა ხელს შეუწყობს თვითრეფლექსიას, მოტივაციის ზრდას და პასუხისმგებლობის განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	ამ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტის შეფასების რუბრიკა, სადაც ნათლად და ცალსახადაა გაწერილი კრიტერიუმები. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ შეფასების სისტემა და მათუ ქულების პროცენტული გადანაწილება. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. რაც შეეხება სანდოობას, წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. წარმოდგენილი რუბრიკა თავისი არსით შეესაბამება წარმოდგენილ კომპონენტებს და ამდენად არის ვალიდურიც. რაც შეეხება ობიექტურობას, უმეტესად დაცულია ეს კომპონენტიც. რიგ შემთხვევებში კომპონენტებს მინიჭებული აქვს საკმაოდ დიდი ქულობრივი დიაპაზაონი, მაგალითად 1-4 ქულა (შეფასების რუბრიკა ინტეგრირებული ერთეულისთვის "ინტელექტუალური საკუთრება") და აღარაა დაკონკრეტებული თუ რის საფუძველზე ხდება მისი გრადაცია შეფასებისას, როდის უნდა დაიწეროს 1-4 ქულობრივ დიაპაზონში 1 ქულა, რა შემთხვევაში უნდა დაწეროს მასწავლებელმა 2 ან 3 ქულა და ა.შ., რაც ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობისა და ობიექტურობის დაცვას. **დასკვნის პროექტით სკოლას მიეცა რჩევა,** ქულობრივი დიაპაზონების ჩაშალოს იმგვარად, რომ ნათელი იყოს თუ რა შემთხვევაში შეუძლია მოსწავლეს მიიღოს მოცემული დიაპაზონიდან კონრეტული ქულა. აღნიშნული რჩევა სკოლამ გაითვალისწინა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად მტკიცებულებად წარმოადგინა შეცვლილი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა/ხელოვნება: სკოლას აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დოკუმენტები. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, გაწერილია კრიტერიუმები, რომელიც მორგებულია თემებზე და ცნებებზე. განმავითარებელი შეფასებები გაწერილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით. ასევე

	სკოლას შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდონობით და გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სასწავლო დაწესებულებას აქვს ყველა რესურსი და ბერკეტი, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გადმოგზავნილია შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი). ასევე, შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი, როგორ გეგმავს სკოლა ამ პრინციპების დაცვას. გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები, პროცესი და ამოცანები. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის (შემდგომში „სკოლა“) მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს. აღნიშნული მიზნით სკოლაში იქმნება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას მართვისთვის/მხარდაჭერისთვის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, სხვადასხვა კვლევების ჩატარებას, ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და მართვისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს ხარისხის მართვისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მექანიზმები და სტანდარტები, რომლებიც მოიცავს როგორც პროცესების, ასევე შედეგების მართვის პრინციპებს.

კერძოდ, დოკუმენტი განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის მიზნებს და მის როლს შეფასების სიზუსტისა და ობიექტურობის დაცვაში.
- ვერიფიკაციის პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და დროის ფარგლებს.
- მტკიცებულებათა შეგროვების, დოკუმენტაციისა და შენახვის წესებს.
- მტკიცებულებათა განადგურების რეგლამენტირებულ პროცედურებს, რომელიც ასახავს მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპებს.
- მოსწავლის წლიური და საფეხურის ნიშნების აღნიშვნის და ასახვის წესი, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტაბილურობასა და სამართლიანობას.

აღნიშნული დოკუმენტი ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ ყველა მხარის პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს იმას, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების სიზუსტეს, სანდოობასა და პროცესების გამჭვირვალობას, რაც მაღალი ხარისხის მართვის გარანტიაა. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას გააჩნია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების პროცესში შეგროვებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესებს. აღნიშნულ დოკუმენტში, კერძოდ პუნქტში „3. მტკიცებულებათა დოკუმენტირება და შენახვა“, დეტალურად არის განმარტებული მტკიცებულებათა მართვის პროცედურები და პასუხისმგებლობები.

მოწოდებული მტკიცებულებები, როგორიცაა მოსწავლეთა ნამუშევრები (ტესტები, პრეზენტაციები, პროექტები, პრაქტიკული სამუშაოების ფოტოები, ესეები და სხვა), განთავსებულია შესაბამისი დეპარტამენტის (საგნობრივი მიმართულებით) პორტფოლიოში. თითოეული დეპარტამენტის წევრმა უნდა წარადგინოს თავისი კლასის მოსწავლეთა ნამუშევრები.

ყველა მტკიცებულება, რომელიც შესაძლებელია იყოს ელენტრონული ან/და ელექტრონულად გაციფრულდეს, ინახება დეპარტამენტის საერთო დრაივზე, ხოლო ფიზიკური მასალები ინახება დეპარტამენტის პორტფოლიოში. მტკიცებულებების შენახვის ვადაა მინიმუმ 3 წელი.
შენახვამდე აუცილებელია ყველა მტკიცებულებაზე გადამოწმდმეს და მონიშნოს მოსწავლის სრული სახელი და გვარი, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა გამართულ აღრიცხვასა და მოძიების გამარტივებას.
სკოლა პასუხისმგებლობას იღებს, რომ აღნიშნული მონაცემები დაცული იქნება როგორც პერსონალური ინფორმაცია, შესაბამისი კონფიდენციალურობის და დაცვის სტანდარტების დაცვით.
ასევე, დოკუმენტით არის რეგულირებული მტკიცებულებათა განადგურების პროცედურები, რომლის საფუძველზეც 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ ხდება შესაბამისი მასალების ფიზიკური და/ან ელექტრონული ფორმით უსაფრთხო და გამართული განადგურება. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვერიფიკაციის მექანიზმი.
2. დაწყებით საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი ცხრილის სახით წარმოდგენილი
3. შეფასების რუბრიკები
4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი
5. ინტეგრირებული პროექტები
6. სკოლის ვებგვერდი;
7. ინტერვიუს შედეგებით.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებით ყველა თემას შეესაბამება ძირითადი და დამატებითი რესურსი. ასევე პროექტებში კონკრეტულად არის მითითებული საჭირო რესურსი, მატერიალური თუ ელექტრონული. ყველა რესურსს გამოიყენებენ მიზნობრივად, რაც ჩანს დოკუმენტებიდან. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო მასალები მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ვიზუალურ, ტექსტურ და ელექტრონულ წყაროებს, რომლებიც მრავალფეროვნების საფუძველზე შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსების სწორი განაწილება და მათი მიზნობრივი გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და ანალიზის უნარების განვითარებას — რაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთავარი ამოცანაა. ეს პრაქტიკა აჩვენებს კათედრის მზადყოფნას, უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესის მაღალმოტივაციური, მულტიმედიური და კომპეტენციებზე ორიენტირებული გარემო, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	მასწავლებლები გეეგმავენ იმ რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენებას, რომლებიც კურიკულუმებშია მითითებული. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა: წარმოდგენილ კურიკულუმებში, ასევე სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აქტიურად გამოიყენებს დამხმარე რესურსებად სხვადასხვა სახის სასწავლო მასალას. (კლავიშიანი ინსტრუმენტები, ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებლები, სხვადასხვა ინტერნეტ პროგრამები და ვებ გვერდები). ხელოვნება: ხელოვნების კურიკულუმებში და ინტეგრირებული პროექტების გეგმებში მოცემულია სხვადასხვა სახის რესურსები. მათ შორის მოქმედი ინტერნეტ რესურსებიც, რომელიც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე რესურსებზე მოსწავლეებს ექნებათ წვდომა, რასაც სკოლა უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში

	გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე ინტეგრირებული პროექტი, რომლებშიც ჩანს რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორი შეესაბამება**.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე სკოლში საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები მიზნობრივად საჭიროების მიხედვით არჩევენ და იყენებენ დამხმარე სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით დაწყებით საფეხურზე გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ საგნობრივ მიზნებთან. რესურსები შერჩეულია მიზნობრივად, თემატური ერთეულების შინაარსისა და გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ცოდნისა და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რესურსების შერჩევის სტრატეგიები და ახასიათებთ პასუხისმგებლობით მიდგომა —

	განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც შინაარსის **სანდოობასა და აკადემიურ სიზუსტეს**, ისე **მოსწავლეთა ასაკობრივი, კოგნიტური და კულტურული თავისებურებების** გათვალისწინებას. ეს მიუთითებს რესურსების გამოყენების არა მექანიკურ, არამედ გააზრებულ და მიზანმიმართულ პრაქტიკაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ რელევანტური რესურსები და შეესაბამებოდეს ინტეგრირებული პროექტების თემის ფარგლებში გასავლელ თემებს. მათი თქმით რესურსები არის კურიკულუმებში მოცემული თემების შესაბამისი. აღნიშნულის დასტურდება კურიკულუმებში წარმოდგენილი ლინკებისა თუ სახელმზღვანელოების გადამოწმებისას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა: დამხმარე სასწავლო რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებიდან, ინტეგრირებული პროექტებიდან და მოემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. რადგან სკოლა გეგმავს ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმები, შესაბამისად სასწავლო რესურსების გადახედვაც ყოველწლიურად მოხდება. ხელოვნება: დამხმარე სასწავლო რესურსებში გათვალისწინებულია საგნობრივი სპეციფიკა. ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების შესრულებას რადგან ასაკობრივად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	დაწყებითი სფეხურის კურიკულუმში აღნიშნულია, რომ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანეოების, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებისა (ელექტრონული და სხვა) და თვალსაჩინოების გამოყენება იგეგმება (კურიკულუმებში ასახულია რესურსები). კათედრის წევრები არჩევენ საგანმანათლებლო რესურსებს სასწავლო პროცესისა და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში არის გრიფმინიჭებული. **ინდიკატორი შეესაბამება**.

სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრის შეხვედრებით. **ინდიკატორი შეესაბამება**.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყველა მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა სწავლისა, თანაბარი პირობები რესურსებზე წვდომისა და გამოყენებისა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით დაწყებით საფეხურზე სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. აქტიურად გამოიყენება როგორც **გრიფირებული სახელმძღვანელოები**, ისე **დამხმარე ციფრული რესურსები**, რომლებიც შერჩეულია საგნობრივი თემატიკისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ეს რესურსები ქმნიან ერთიან, მიზნობრივად ორგანიზებულ საგანმანათლებლო გარემოს, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა-სწავლების პროცესი, ხოლო მოსწავლეს — აქტიურად ჩაერთოს, გაიაზროს და განავითაროს ცოდნა და უნარები შესაბამისი საფეხურის დონეზე.

	სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, შინაარსობრივი შესაბამისობა და ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი უნარების ფორმირებას, როგორიცაა ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის გამორჩენა და კავშირების აგება, რაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი მიზნების ორგანული ნაწილია. **ინდიკატორი შეესაბამება**.
უცხოური ენები	სკოლაში ამ ეტაპზე იგეგმება მოსწავლეების მიღება მხოლოდ დაწყებით საფეხურზე და გათვალისწინებულია ზღვრული რაოდენობა. ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსიც. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა/ხელოვნება: სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების, პროექტული სასწავლო გეგმების, კათედრის ოქმების, სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მიხედვით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სკოლაში დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა სრულფასოვნად ისარგებლოს სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივობებით და პროექტებით. კათედრაზე არსებული კვალიფიციური კადრი ამას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სახელმწიფო ენა	სკოლაში არის შესაბამიის მატერიალური რესურსი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შეესაბამება**.
მათემატიკა	კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი არის სახელმძღვანელოები ასევე სხვადასხვა საშუალებები. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს მოსწავლეები პროექტორით, პრინტერებით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**.
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი შეესაბამება**.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება**.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლა აღჭურვილია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალთა გუნდით, რომელთა გამოცდილება და პროფესიონალიზმი მრავალწლიანი პრაქტიკით არის დამყარებული სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტში. აღნიშნული კადრი არა მხოლოდ ფლობს ღრმა თეორიულ ცოდნას, არამედ აქტიურად იყენებს საუკეთესო საგანმანათლებლო მეთოდებსა და ინოვაციურ პრაქტიკებს, რაც განაპირობებს სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას და მოსწავლეების მუდმივ წარმატებას. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებით საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი ცხრილის სახით წარმოდგენილი;
2. ინტეგრირებული პროექტები;
3. ინტეგრირებული კურიკულუმის გზამკვლევი;
4. შეფასების რუბრიკები;
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
6. მასწავლებელთა პირადი საქმე;
7. სკოლის ვებგვერდი;
8. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი მკაფიოდ ასახავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი, ციკლური პროცესია. იგი მოიცავს ოთხ თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ ფაზას: კურიკულუმის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, და საბოლოოდ – ანალიზი და რევიზია.
სკოლა გეგმავს საგანმანათლებლო პროცესის დაწყებას 2025-2026 სასწავლო წლიდან, შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება დაგეგმილია ზემოხსენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის სისტემატურ გაუმჯობესებას, შინაარსის ადეკვატურობას და სასკოლო საზოგადოების მოლოდინებზე მორგებას. კურიკულუმის დანრგვის მონიტორიგს აწარმოაებს ხარისხის ჯგუფიც. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

„კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი, მათ შორის — განხორციელების პერიოდულობა, გამოყენებული აქტივობები და მონაცემთა ანალიზის ფორმატები. აღნიშნული პროცესი მიმართულია, რომ გამოავლინოს როგორც კურიკულუმის ძლიერი მხარეები, რომლებმაც ხელი შეუწყო სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას, ასევე გამოწვევები და ხელის შემშლელი

ფაქტორები, რომლებიც მიზნის მიღწევას აფერხებდა. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციათა პაკეტი. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხორციელდება საგნობრივი კათედრებისა და კლასის აკადემიური საბჭოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ხედვების თავმოყრას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მასწავლებელთა პროფესიული ჩართულობის გაზრდას. (კლასის აკადემიური საბჭო - ერთი კლასის ფარგლებში საგნობრივი მასწავლებლების შეკრება). **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სკოლაში განიხილება, როგორც განვითარების მხარდამჭერი ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის – მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და სხვა მონაწილეების – მხარდაჭერისკენ. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს მიმდინარე პროცესებში არსებულ სირთულეთა იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის შესაძლებლობების ანალიზი. მიღებული მონაცემების საფუძველზე, ხორციელდება მიზნობრივი ანალიზი და შეიმუშავება რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც ემსახურება პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის მართვის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
4. ინტერვიუს შედეგებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასებას სხვადასხვა ტიპის წყაროების გათვალისწინებით, როგორც მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზით, ასევე - სისტემატური საგაკვეთილო დაკვირვებებით მიღებულ მონაცემებს. ამასთან,

სკოლას აქვს მზაობა ინფორმაცია მიიღოს მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვებითაც. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას მოახდებს როგორც უშუალოდ საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო პროცესებით. მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტი ითვალისწინებს მრავალ კონტექსტს. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა იყენებს შეფასების მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდოლოგიას. სასწავლო პროცესის მონიტორინგისას გამოყენებული იქნება როგორც მეორადი მონაცემების ანალიზი, ასევე დაკვირვების, გამოკითხვის მეთოდები. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც აკადემიური შედეგები, ასევე მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი, ჩართულობა, მოტივაცია და ემოციური მდგომარეობა, მასწავლებლისა და ოჯახის როლი და ა.შ. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის მართვის მექანიზმები;
2. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
3. ინტეგრირებული სასწავლო პროექტები;
4. საგნობრივი კურიკულუმები.
5. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიზნები და შესაბამისი ეტაპები. შეფასების ძირითადი მიზანია საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, რასაც მოსდევს შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის მიზნით.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება განსაზღვრავს მასწავლებელთაშორის დაკვირვების მიზნებსა და პროცედურებს, რაც ხელს უწყობს მონაცემთა მრავალმხრივ შეგროვებას.

შედეგად, მიღებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, მუშავდება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის განვითარებისა და ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა 2025-2026 სასწავლო წლის სექტემბერში გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყებას, შესაბამისად მისი კურიკულუმები წარმოადგენს ახალ ვერსიას, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის რევიზიას და განახლებულ ვერსიას, მას შემუშავებლი აქვს კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების დოკუმნეტი, რომელიც არგულირებს ამ პროცესებს.

კეროდ, სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპი, როგორც მის განვითარების ციკლური პროცესის განუყოფელი ნაწილი. დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება რამდენიმე არსებითი მახასიათებლის გათვალისწინებით:

- მონიტორინგისა და შეფასების პროცესით მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები,
- პრაქტიკაში დაგროვებული გამოცდილება და აღმოჩენილი გამოწვევები,
- მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც საჭიროებს კურიკულუმის შინაარსობრივ და სტრუქტურულ შესაბამისობას ახალ სამართლებრივ მოთხოვნებთან.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განახლებადობას, მიზნობრიობასა და საკანონმდებლო ჩარჩოსთან შესაბამისობას, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და მის შედეგებზე. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის მართვის მექანიზმები;
2. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
3. ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. დღის წესრიგი

თარიღი 20.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: